№ 171
ასკევი, 10 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
	10	—	6	6	—
2.	9	50	5	5	50
1.	8	75	4	4	75
0.	8	—	3	3	50
9.	7	25	2	2	75
8.	6	50	1	1	50
7.					

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 171
პარასკევი, 10 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

თულს დრამატიულიი საზოგადოების გამგეობა.

ტემბრის პირველ რიცხვებში
გამართავს

მოსაცდელ წარმოდგენას

საც ჰსურს ამ წარმოდგენაში წილეობის მიღება, იმან უნდა რთოს საზოგადოების კანტო- (სათავად-აზნაურო ქარვასლა- თეატრის გვერდზედ) ყოველ დილის 10 საათიდგან ნაშუ- ევის პირველ საათამდე.

(55გ—1)

ფილისის კერძო სამკურნალო

ამყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

ა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი ანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

მყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეუ- ბანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 1—2 ს.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ტერ-აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნმლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.)

მთავრობის განკარგულებანი.

—

დანიშნულ იქმნენ. ალატირის საუფლისწულო ოლქის 1-ლ ხარისხის გამმიჯვნელი მოხელენი **ნასიძე** და თავ. ბიძინა მაყაშვილი ამავე ოლქის მე-3 ხარისხის მიწის მზომელ მოხელეებად.

ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი დღეს ტფილისში ჩამოვა და დღესვე საქართველოს სამხედრო გზით ყაზბეგის სადგურზედ წავა, რომ აქ დიდს მთავარს ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძეს დაუხვდეს.

⁂ ტფილისის მიწის-მზომელთა სასწავლებელი შემოდგომიდგან ახალს შენობაში გადავა, რომელიც

ფელეტონი

თაისის სამეურნეო სკოლის ახლანდელი მდგომარეობა.

—

ყველასათვის აშკარა და ადვი- ად საგრძნობელია, რომ ჩვენე- ური კლასიკური სწავლების უნა- ოფიერება ლოდივით აწვა და აწევს ულზე ჩვენს საზოგადოებას. კლა- იკურის სწავლების გამო ყველა ოდების ხალხი, სოფლისა და ქა- ლაქისა, ერთს ტაფაში იწოდა და საც იწვის: სასწავლებელში ს-შესრულებულნი და ცოტა ხანს ეულნიც კი ყოველს კავშირსა წყვეტენ მშობელთა ხელობასა და საქმესთან და არა მარტო საქმეს- ან—თვით მშობელთა და სანათე- ოსთან ზნეობითი ურთი-ერთობის უწყდებათ. მეურნეთა შვილმა ეურნეობისა არა იცის რა, ხელ- ოსნთა და ვაჭართა—ხელოსნობი- ა და ვაჭრობა-მრეწველობისა.

ამასაც კიდევ ძალა-უნებურად ურიგდებოდა კაცი, რომ ახლანდელ ალი თაობას, კლასიკურს სასწავ- ებელში მომწყვდეულს, რასაცა წავლობს, იმაში მაინც შეეძლოს მოქმედებითი ძალის შეტანა! სკო- ლა მხოლოდ ჩინოვნიკს, შაბლო- ურს ექიმს, პედაგოგს, ადვოკატს და მღვდელს ამზადებს; და ამათგან ლის უმეტესობას თვისი სპეცია- ური ცოდნა ცხოვრებაში მხო- ლოდ ფულის მოსახვეჭად აქვს ქცე- ული და არა ადამიანთა ურთიერ- თობის გასაუმჯობესებლად და პრო- ესის იარაღად.

ამ გვარმა მოვლინებამ, როგორც სხვაგან, ჩვენი საზოგადოებაც, დიდი ხანია, დააფიქრა და თავად-აზნაურობას ხმაც ამოაღებინა. მაგრამ, რადგანაც სხვაგან ხელი არ მიუწვდებოდა, თვისი ფულით დაარსებულს და კლასიკურს ტიპზე აგებულს სკოლას კი ყოველთვის ეჭვის თვალით უცქეროდა და უნდოდა მისი ტიპის შეცვლა, თავად-აზნაურობა ისეთს სასწავლებელს თხოულობდა, რომელიც ჩინოვნიკების გამმრავლებელი კი არა, არამედ მეურნეობის და ხელოსნობის მცოდნეთა გამომზრდელი გამხდარიყო, რომ ამით ჩვენ, სხვა ყველაფერში თავისუფლების დამკარგველთ, ოდნავ მაინც ნივთიერად დამოუკიდებელი ცხოვრების სახსარი ხელში შეგვრჩენოდა.

ასეთი მისწრაფება თავად-აზნაურობისა პირ და პირ არსებითის საჭიროებისაგან მომდინარეობდა, მაგრამ მისივე ინტელიგენტი შვილები ამ სურვილის განხორციელებას წინააღუდგენ მაშინ არა არსებითად, არამედ იმ შიშით, ვაი თუ აღარც სამეურნეო და სახელოსნო სასწავლებლების გახსნის ნება მოგვეცეს და, რაცა გვაქვს, იგიც დავკარგოთო.

ამას გარდა, ეგ უნებური პროტესტანტები თავად-აზნაურობას იმითი აშინებდენ, რომ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი კარზე გვადგას და სენაკის სააზნაურო სასწავლებელს სამეურნეო განყოფილება ემატებაო.

მას აქეთ კარგა ხანი გავიდა და აღარც ადგილობრივ საზოგადოებას, არც გაზეთებს ამ საგანზე ხმა აღარ ამოუღიათ, მით უფრო, რომ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი თავისად ეგულებოდა და თან თვისი ნდობილნი—კეთილ მოღვაწენი სკოლის მზრუნველად და ყურის მგდებლად მიჩენილი ჰყავდა; ახლო მომავალში სკოლის გაფართოებას ელოდენ და ისეთს წარმატებასაც, რომ აქ მიღებულის სწავლის ნაყოფს ჩვენი მეურნეობის მოთხოვნილებას საკმაოდ დაეკმაყოფილებინა.

სწორედ ამ მოლოდინის დროს, 1899 წ., ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელს მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან გამოგზავნილი რევიზორი, ბ-ნი მეშჩერსკი ეწვია და, სამწუხაროდ, მისი რევიზია იმით გათავდა, რომ ახლო მომავალში ხსენებული სასწავლებელი სამეურნეო საზოგადოების განყოფილების უწყებიდგან პირ და პირ სამინისტროს ხელში უნდა გადვიდეს. ამ წლის 13-ს იანვარს მოვიდა სამინისტროსაგან ქაღალდი, რომლითაც წინადადება ეძლევა განყოფილებას, რათა სკოლა სამინისტროს გადასცენ, ხოლო ნიშნად პატრონობისა განყოფილებისათვის ის უფლებაღა შეურჩენიათ, რომ თავის მხრით შეუძლიან სამ-სამ წლობით არჩეული მზრუნველი სკოლას დაუყენოს.

7-ს ივნისს სამეურნო საზოგადოების განყოფილებას ვიცე გუბერნატორის, ბ. ვალახოვის თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონდა ხსენებულ ქაღალდის გამო დაადგინა, რათა კომისიამ (მზრუნველი სასწავლებლისა საქრაძე, ქალაქის თავი, დ. ლორთქიფანიძე, ზდანოვიჩი, ნაზაროვი და სხვა) მოიაზროს და გამოარკვიოს რა პირობით უნდა გადაეცეს სასწავლებელი სამინისტროს.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა პირობები გამოიკვლია კომისიამ და, როცა იგი თვისს მინდობილებას ასრულებს, ვეცდებით მკითხველებს გაუზიაროთ, ახლა კი საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც მოვახსენოთ მკითხველ საზოგადოებას ის გარემოება, რომ არც ადგილობრივ საზოგადოებას, არც სამეურნო საზოგადოების განყოფილებას, არც მის მიერ არჩეულ მზრუნველთ ისეთი არა დაუშავებიათ რა, რომ ადგილობრივ საზოგადოებას სკოლის პატრონობის უფლება ჩამოერთვას. და თუ მაინცა და მაინც სკოლას ასეთი ბედი უწერია, ალბად —იმ მიზეზების გამო, რა მიზეზებითაც ყოველთვის, თავიდგან საჩვენოდ დაწყებული სასწავლებლები, მოკლე ხნის არსებობის შემდეგ, სასხვისოდ გამხდარა. ახლაც ადგილობრივ საზოგადოებას არამც თუ არაფერი დაუშავებია, პირიქით არაფერი სიკეთე არ დაუკლია სკოლისათვის:

თავად-აზნაურობამ ერთ ჟამიერად თავიდგანვე 9,000 მანეთი შესწირა; შემდეგისათვის სამუდამოდ სამსამი ათასი მანეთი დაუნიშნა წლიურად; ქალაქმა ერთად - ერთი, სულის მოსათქმელი, ძვირფასი და იშვიათი მცენარეულობით სავსე ფერმა დაუთმო; სამეურნეო საზოგადოების განყოფილება, რომელიც მომეტებულად ადგილობრივი საუკეთესო ინტელიგენციისაგან შესდგება, ფხიზლად თვალყურს ადევნებდა სკოლის ავ-კარგიანობას, და ჯერჯერობით თუ რამ სასიკეთოა სკოლაში, სწორედ ამათი გაკეთებულია.

ამ განყოფილების კომისიათა ნამუშევარის თვალის გადავლებაც კი საკმაოა, რომ აშკარად დაინახოს კაცმა, რა ნაყოფიერს საფუძველზე სდომებია განყოფილებას სკოლის ორგანიზაციის აგება და გაფართოება, მაგრამ, რადგანაც მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, სასწავლებელს ისეთი გამგე არ ღირსებია, რომ განყოფილების მიერ შემუშავებული პროგრამმა სისრულეში მოეყვანა, სკოლას წარმატების გზაზე კოჭლად უვლია.

მოვიყვანოთ დაახლოებით შინაარსი ერთ-ერთი კომისიის მოხსენებისა, რომელიც ბ. მეშჩერსკის რევიზიისაგან იყო გამოწვეული:

სამეურნო საზოგადოების განყოფილება თავიდამვე იმ გზას ადგა, ამბობს კომისია, რომ ქუთაისის გუბერნიის ერთად ერთი სამეურნეო სასწავლებელი ადგილობრივი გარემოების და მცხოვრებთა საჭიროების შესაფერი ყოფილიყო. როცა განყოფილება ამ საწავლებელს აარსებდა, მას სახეში მიღებული ჰქონდა არა მარტო ადგილობრივ ჰავისა და ნიადაგის დიდი სხვა - და - სხვაობა, რომელიც ხელს უწყობს ყოველ გვარს სამეურნო კულტურას ქერისა და ჰვავიდგან დაწყებული ჩაისა და ლიმონ-ფორთოხლამდე, არამედ იგი თავისებური მეურნეობის წარმოება, რომელიც საფერმე,—„სახუტორო“ მეურნეობას შეეფერება.

დაქუცმაცებულ და ნაჭერ-ნაჭრობით მიწათ-მფლობელობამ, რომე-

ვერაზედ არის საუფლისწულო სარდაფის მახლობლად აშენებული.

⁂ ტფილისის საგუბერნიო და საქალაქო სამხედრო საკრებულოთათვის ამ წელს ჯარში გასაყვან ახალგაზრდათა გასასინჯად დანიშნულ არიან მკურნალები 66 ქვეითა ბრიგადისა ჟილინსკი და ბეზირგანოვი, ხოლო მაზრის საკრებულოში მკურნალი ერმოლაევი.

⁂ ჯარებისათვის ბინების დასაქირავებლად ქალაქის გამგეობას 65,000 მან. სესხი გამოუვიდა.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გარდაუწყვეტია ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგეს წლიურათ 1,500 მან. ჯამაგირი დაუნიშნოს და შესაფერი კაცი განცხადებით მოიწვიოს.

⁂ სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებას ნებართვა მიუღია, რომ ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ საკუთარი შენობა ააშენოს. მუშაობას მერმის შეუდგებიანო.

⁂ როგორც-კი ზაფხულის შემდეგ ქალაქის საბჭოს სხდომები დაიწყება, მაშინვე ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის უკეთ მოწყობის საქმეს შეუდგებიან. ამ აზრით არჩეულმა საგანგებო კომისსიამ ყველა საჭირო მასალა დიდი ხანია უკვე შეჰკრიბა. კომისიას, სხვათა შორის, აზრათა აქვს ცენტრალურ რაზმის გარდა იყოლიონ აგრეთვე ცალკე განყოფილებანი ქალაქის სხვა-და-სხვა ადგილას. მოხსენებას ამის შესახებ ჯერ საფინანსო კომისიას გადასცემენ განსახილველად.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აზრი სასოფლო მეურნეობის ინსპექტორის ბ-ნის გეევსკისა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა იაპონიიდგან ცოცხალი მცენარეები გადმოიტანონ, შემოდგომის საზოგადო კრებაზედ მოჰხსენდება.

⁂ სამკურნალო დეპარტამენტის განმარტებით, კავკასიის ქალაქების მკურნალები მოვალენი არიან თვალყური ადევნონ როგორც სამკურნალო-სასამართლო ნაწილს, ისე იმასაც, რომ მათს სათვალ-ყურო ნაწილში სუფთაობა იყოს დაცული და ბაზარში კარგის თვისების სანოვაგე და სასმელები ისყიდებოდეს.

⁂ სასულიერო უწყებას გარდაუწყვეტნია სასულიერო სემინარიისათვის ამ რამდენისამე წლის წინად ვერაზედ ნაყიდი ადგილი საჯარო ვაჭრობით გაჰყიდოს. ადგილი 67,000 მანეთათ არის დაფასებული.

⁂ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს კავკასიაში ტყეების მომშენებელთა შტატს კიდევ რამდენიმე კაცი მიუმატოს.

⁂ შაბათს, 11 აგვისტოს, დაბა სურამში, ქ. გაბუნია-ცაგარლის მეთაურობით და ელ. ჩერქეზიშვილისა, კ. ყიფიანისა და სხვათა მონაწილეობით გამართულ იქმნება წარმოდგენა. წარმოადგენენ ქართულად „ხანუმასა“ და რუსულად „პიესას პიესაში“. დასასრულ დივერტისმენტი და ცეკვა იქმნება.

⁂ „მშაკის“ სიტყით, სომეხთა კათალიკოსს საჭიროდ უცვნია ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა სემინარიის ინსპექტორის თანამდებობაზე სასულიერო კაცი დაინიშნოს.

⁂ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო სამმართველო სთხოვს პოლიცმეისტერს ლუიზა მადერის გამაგრილებელ სასმელების ქარხანა დაუყოვნებლივ დაჰკეტოს, რადგანაც გამოკვლევას აღმოუჩენია, რომ სასმელები ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებისაგან უმზადებიაო.

⁂ ავჭალის სადგური. 9 აგვისტოს, ღამის 9 საათზე, მე-286 ვერსზე მატარებელი № 161 რომ მოდიოდა, გზის დარაჯი სიმონ ნავრუზაშვილი უნდა გადასულიყო ლიანდაგზე მარცხენა მხრიდგან მარჯვენა მხარეს; ამ დროს მოუსწრო მატარებელმა, ნავრუზაშვილი ქვეშ მოიტანა და მძიმედ დააშავა თავსა, მარცხენა ხელში და ნეკნებში. დაშავებული მაშინვე ტფილისის რკინის გზის ლაზარეთში გაგზავნეს.

……

კავკასიის მომავალი გამოფენა

—

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტს, თანახმად თხოვნისა, გამოუგზავნია: 3 დიდი ვერცხლის მედალი მოწმობებითურთ და 30 ქების ფურცელი. გარდა ამისა, გამოუგზავნია: 3 ოქროსი და 10 დიდი ვერცხლის მედალი და 100 ქების ფურცელი. დანარჩენს ოქროსა და ვერცხლის მედალებს სასოფლო მეურნეობისა და შინა მრეწველებისა და ხელოსნობის განყოფილებათათვის დეპარტამენტი ცალკე გამოჰგზავნისო,

საჭირო საქმე.

—

მკითხველი საზოგადოება სამართლიანად ემდურის ქართველს მწერლებს, მოკლედ და გარკვევით წერა არ იციანო. ძვირად შეჰხვდები ჩვენში პუბლიცისტს, მკაფიოდა და სხარტულად წერა იცოდეს. ამ მხრივ ფრანგ-მწერლის უნარი შეუდარებელია, და ამიტომაც მისი ნიჭი და მოხერხება დიდს ხანს იქნება ჩვენებურ პუბლიცისტისათვის მიუწდომელ იდეალად.

ალბად, ეს მოუხეშაობა გონებისა და უილაჯობაა მიზეზი, რომ უბრალო სოფლის ამბავს უზომოდ გავაჭიანურებთ ხოლმე კორესპონდენციის სახით, უმთავრესს საგნებს თითქოს ვერ შევნიშნავთ, წვრილმანებს გამოვეკიდებით, ჩვენ თითონ, დამწერნიც, გავებმით დაუსრულებელს ფარდებში და მკითხველსაც თავს ვაბეზრებთ უაღაგოალაგას, ათადან-ბაბადან, მოყოლით უმნიშვნელო ამბის მოთხრობით. ამ მხრივ მეტის-მეტად შესაბრალისნი არიან საცოდავნი სემენარიელნი, სურვილი და განზრახვა კეთილი აქვთ, მაგრამ მოხერხება წერისა, უმრავლესობას, რასაკვირველია, და არა ყველას, სრულებით არ მოეპოვებათ. ამის გამო, ვიდრე თვით ამბავს მოუთხრობდნენ მკითხველს, გეოგრაფიულად აღწერენ იმ სოფელს, საიდანაც უნდა შეგვატყობინონ, რომ სეტყვამ ჰირნახული წაახდინა... ერთის სიტყვით, ქართველი მწერალი ცოდვილია მრავალ-სიტყვაობით და მრავალ წერით...

ჭკუა-გონების მოუხეშაობის გარდა, ჩვენის ფიქრით, ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი ასეთის თვალსაჩინო ლიტერატურული ნაკლულევანებისა ის არის, რომ საკმარისად არ ვიცით სამშობლო ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია და ეთნოგრაფია. ბეჩავი მკითხველი, თუ
ყველაფერი ეს ზედმიწევნით ა
იცის, ვერას გაიგებს ნაწერისას, თ
დაწვრილებით არ მოუყვე თავიდ
ბოლომდე. ეს-კი მოთხრობას ატ
ნურებს, ლაზათსა და სიმკვირ
ლეს უკარგავს. ასეთი მწერალ
პუბლიცისტი მოსამზადებელ კლ
სის მასწავლებელს ემგზავსება,
არა დღიურ ვარმის ალმნუსხველ
ვსთქვათ, მინდა შევატყობინო
გულისა და სულის ამამღერვე
ბავი, თუ მურდალსა და ტურტ
ლიანს ხელს რა უნამუსოდ და
ხრია თვალები ალბუღასა და ბ
სურათებისათვის, ან კიდევ რა
ფაშია დღეს ს. ქილვანა, ჯაყის
ნი, ვინა ბინადრობს აქა და რა
ელტვიან აქაურნი. ყველა ამის
თვის გრძელი შესავლით უნდა გ
მოვაყრუოთ მკითხველი, ვიდრ
პირდაპირ საგანს შევეხებოდეთ.
კი იმისათვის არის საჭირო, რო
ჩვენმა მკითხველმა, ნ. ურბნელ
გარდა, არ იცის, რა დიდებულ
გვამნი იყვნენ მესხეთის ათაბაგ
ბექა და ალბუღა, ან სად მოღვ
წეობდნენ იგინი, რა იყო წინა
ჯაყისმანი და რა არის დღეს დ
სხვა. ამ რიგად ისტორია-გეოგრ
ფიისა და ეთნოგრაფიის უცოდინ
რობა შეუძლებელსა ჰყოფს მო
ლედ წერას.

გეოგრაფია-ისტორიის შესწავლ
და ეთნოგრაფიის შეგნება შეუძლ
ბელია, თუ რიგიანი, სავსე და ნა
დვილი საქართველოს რუკა არ გვ
ქნება. მკითხველი ცხადად ვერ გ
ითვალისწინებს ჯაყისმანს, თუ
თვალწინ რუკა არ უძევს; ვერ შ
ითვისებს კარგად ისტორიულს მო
თხრობას, თუ თვალით კითხვ

ლიც ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნიდგან დამყარებულა, შეიმუშავა აწინდელი ტიპი წვრილმანი ეკონომიისა, რომელსაც მუშა მცირე ნაკვეთებზე აწარმოებს, — გარდა უმთავრესის სარჩოსი, სიმინდისა, — სხვა-და-სხვა პროდუქტებს: ღვინოს, სხვა-და-სხვა ჰირნახულს, ძირეულობას, მწვანილს, აბრეშუმს, ბამბას, თამბაქოს. და ყველა ესენი შეადგენენ უმთავრესს სახსარს ადგილობრივ მიწის მუშის კეთილ-დღეობისას.

ამ გვარის მეურნეობის მრავალფეროვანს მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს მხოლოდ სკოლის ისეთი ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლიან მისცეს მოსწავლეთ ყოველგვარი დამთავრებული ცოდნა, მაგრამ ცოდნა მეტად ელემენტარული კურსისა. ერთის სიტყვით, სკოლას საგანი ვიწროდ უნდა შემოეფარგლა, მაგრამ იგი საგანი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო — ამ სასწავლებელს უნდა გამოეზარდა მომზადებული მომქმედი ძალა, ე. ი. ისეთი ყმაწვილები, რომლებსაც, სასწავლებლიდგან გამოსვლისთანავე, ხელი აელოთ სწავლის განგრძობაზე, არ გამოსდგომოდნენ დიდსა იდეალებს, არამედ გამხდარიყვნენ გამოსადეგნი პრაქტიკულს ცხოვრებაში, მცოდნე მუშაკნი თავისს ოჯახში, ანუ ხელმძღვანელი მცირე მემამულეთა მიწა-ადგილზე, რაიცა ჩვენს მხარეში ზოგადს მოვლინებას შეადგენს.

ამ მოსაზრებით იყო შექმნილი თავისებური ტიპი სასწავლებლისა, რომლის დარი რუსეთის შიდა გუბერნიებში ჯერ არ დაარსებულა, სასწავლებელი, რომელიც ცოტად მაინც აკმაყოფილებს მცირე მემამულეთა მეურნეობის მოთხოვნილებას. მართალია, ახლანდელ მდგომარეობაში მყოფი სასწავლებელი ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს ყველა თავისს რთულს მიზანს, რადგანაც მას ეჭირვება სამერმისოდ შემუშავება და სისტემაზე დაწყობა იმ საპედაგოგო მასალისა, რომელიც სკოლის პროგრამმის საფუძვლად არის მიღებული.

სამწუხაროა, რომ, თუმცა ამ ექვსს წელიწადს, — რომლის განმავლობაში სკოლამ ორი კურსი კიდევაც გამოუშვა, — თვალსაჩინოდ გამოააშკარავა, რამდენად მიზნის შესაფერი და პრაქტიკულია სასწავლებლის სანუკარი საგანი, მაგრამ სკოლის საბოლოოდ დასრულების და სამეურნეო ორგანიზაციის შესახებ საკითხს კი 1894 წლიდგან, ე. ი. დღიდგან დაარსებისა, წინსვლა და წარმატება მაინც არ დასტყობია. სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას, რომელმაც მოაგვარა სრულად ორიგინალური ტიპი სასწავლებლისა, რომლის პროგრამმაც, არა-თუ თითქმის ყველა კულტურულს ნიჭს გუბერნიის მიწათ-მომქმედის კუთხეებისას სავსებით შეიცავს, არამედ პირდაპირ აკმაყოფილებს არსებითს საჭიროებას სასოფლო ეკონომიისას, განყოფილებას, რომელმაც, როგორც თვით მეშჩერსკი ბრძანებს, ააგო მშვენიერი სასკოლო სახლი სამინისტროს შეუწევნელად, უზრუნველჰყო სასწავლებელი წლიურად 12,500 მან. შემოსავლით, ერთბაშად მიიზიდა ამოდენა მოსწავლე, — ვიკითხოთ, განა ამ დაწესებულებას არ შეეძლო დაესრულებინა იგი სკოლა?

ცხადია, რომ ამისასთვის მაინცა და მაინც საჭირო არ იყო არც განსაკუთრებული საორგანიზაციო ნიჭი, არც საგანგებო ენერგია, რაიც თვით სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას არაოდეს არა ჰკლებია, მით უფრო, რომ განყოფილებამ უმთავრესი ამიცანა ხომ კიდევაც ნაყოფიერად გარდაწყვიტა და შრომითა და მისივე ძალღონით სკოლის საქმე ფეხზე დააყენა.

ზემოხსენებულ რეზულტატების შემდეგ, ერთიღა იყო საჭირო, მოეძებნათ სკოლისათვის ნიჭიერი ხელ-მძღვანელი, რომელსაც საფუძვლიანად სცოდნოდა ადგილობრივის მეურნეობის ვითარება და შესძლებოდა სასწავლებელი განსაზღვრულის საგნისკენ მიემართა. მაგრამ სამეურნეო საზოგადოების განყოფილებისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, არც ერთი სკოლის მმართველი, რომელიც პირდაპირ სამინისტროსაგან იყო განწესებული, რომლის მოსაკითხიც არის სასწავლებლის ორგანიზაცია და ავკარგიანობა, არ ყოფილა დახელოვნებული თავისს საქმესა და მოვალეობაში. დახელოვნებული კი არა, არც კი უსურვებიათ საქმე გაეცნოთ და გაერკვიათ — რა მიზანს და გზას უნდა დასდგომოდა სასწავლებელი. როგორც მეშჩერსკი ამბობს, ზოგიერთი მათგანნი უნიჭობისა და დაუდევრობისა გამო დაათხოვნილ იქმნენო: სკოლის პირველი გამგე, ბ. პუზანკევიჩი, ვითარცა ინვალიდი, შეპყრობილი იყო ისეთი სნეულებით, რომ, მთელი თვისს გამგეობის განმავლობაში, ლოგინიდგან თითქმის არ ამდგარა; მეორემ, ბ. ბიბიკოვმა სკოლის დისციპლინა ქვესკნელში გაარონინა; დანარჩენი ორი, ბ. ბ. ლამაკინი და კლუშინი სამეურნეო საზოგადოების განყოფილების შეხედულობას არ შეეფერებოდენ არც სწავლების საქმის შეგნებით, არც სწავლების მეთოდის ცოდნით.

სკოლის პროგრამმა მეტად ელემენტალურად და თეორეტიკული კურსი შემოკლებულად მოეჩვენათ, ამიტომ თან-და-თან ისე შესცვალეს პლანი სწავლებისა, რომ პრაქტიკულს მეცადინეობას სრულიად ძირი გაუთხარეს. ამ გვარად სკოლამ თან-და-თან დაჰკარგა თავისებური ხასიათი და შეიქმნა რაღაც მაღალი კურსების მოსამზადებელ კლასებად.

ამასთანავე სკოლა მეორე უკიდურესობაშიაც ჩავარდა, ისეთს უკიდურესობაში, რომელმაც სწავლების საქმე უფრო შეაფერხა: ლამაკინმა შეადგინა ისეთი პლანი სწავლებისა, რომ სკოლა მხოლოდ მევენახეობის და ღვინის წარმოების სასწავლებლად უნდა გამხდარიყო. თუმცა-ღა ეს პლანი მთლად უმნიშვნელოც არ იქმნებოდა, მაგრამ იმდენად ეწინააღმდეგებოდა სამეურნეო საზოგადოების განყოფილების შეხედულობას, რომ აქამომდე არსებული სისტემა სრულიად უნდა შეცვლილიყო და საკითხი სასწავლო-სამეურნეო ორგანიზაციის შესახებ აღარ განხორციელდებოდა, ვიდრე სამინისტრო ა
შეიწყნარებდა განყოფილების შუ
მდგომლობას.

რაღა თქმა უნდა, რომ ზემოხ
სენებულ გამგეთაგან არც ერთ
არ ჰქონდა გაცნობილი ადგილო
ბრივი მეურნეობის წარმოება, არ
ჰავისა და ნიადაგის ვითარება, რა
იცა არა მარტო წიგნების საშუ
ლებით შეისწავლების, არამედ ს
სოფლო მეურნეობის ფაქტორ
დაცდილის შეგნებით.

რა-კი სასწავლებლის უმაღლ
ბელესი გამგენი სკოლის საპედ
გოგო მხარეს ასე ეპყრობოდნ
და თანაც, ვითომდა სპეციალის
ნი, სრულის უფლებით განაგებ
ნენ სწავლების საქმეს, რაღა უნდ
ექმნა სამეურნეო საზოგადოებ
განყოფილებას მეტი სკოლის რო
გიან ორგანიზაციის და საზოგ
დოდ სასკოლო საქმის წარმატებ
სათვის, რომელიც ამ განყოფილ
ბისაგან დაწყებული და ფეხზედ აყენე
ბულია, თუმცა არა საკმაოდ სას
რველზე, როგორც მეშჩერსკი ჰმოწ
მობს?

რევიზორს რომ მეტი დრო ემ
ვნა სკოლის მდგომარეობის გასაც
ნობად, ვიდრე მან მოანდომა ა
საქმეს, და რომ მარტო სკოლი
ქონებათა ინვენტარის აჩქარებულ
გადათვალიერებით არ დაკმაყოფ
ლებულიყო, სკოლის სხვა მხრ
ნამოქმედარიც რომ შეესწავლ
იგი უსათუოდ დარწმუნდებოდ
რომ 5—6 წლის არსებობის დრო
სკოლას ქვეყნისათვის ბევრი სა
თე მიუცია:

ბაღში ქვეყნის შესაფერი ღ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს რუკას არ უყურებს, ვერ მიხვდება და არ ჩაებეჭდება გონებაში ამბავი, თუ არ იცის, სად მოხდა იგი. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, დიდად საჭიროა დაიბეჭდოს ქართულად საქართველოს რუკა და მოეფინოს მთელს საქართველოს. რუკა უნდა იყვეს, რაც შეიძლება იაფი, რომ ყველას ხელი მიუწვდებოდეს. კარგია რომ სკოლაში გვასწავლიდნენ სამშობლო ისტორია-გეოგრაფიას, მაგრამ, რა ვქნათ, რაც სკოლამ დაგვაკლო, შინით უნდა შევისრულოთ. სკოლა ყველაფერს არ იძლევა, ჩვენც ხელი უნდა გავანძრიოთ.

რუკა უსათოოდ უნდა შეიცავდეს ძველს საქართველოს სავსებით, ერთი კუთხის გამოტოვებაც კი არ შეიძლება, სადაც ქართველს ულვაწნია და უმოქმედნია, ხოლო უნდა აეხსნას განმარტებით ტექსტში, რომ და ამ ადგილს ქართველობა დღეს აღარ არისო. მაგალითებრ, ართანუჯი დედა-ქალაქად ირიცხებოდა ბაგრატიონების უმცროსი შტოსი და სრულიად გაჰქრა მე-XI საუკუნის დამდეგს. დღეს ამ ქალაქში ქართველების სინსილაც აღარ მოიპოვება, მაგრამ რუკაზედ უნდა აღინიშნოს, როგორც უმთავრესი ქალაქი საქართველოს ორის მშვენიერ პროვინციისა: კლარჯეთისა და ტაოსი.

აქ არ გამოვეკიდებით დაწვრილებით იმის განხილვას, თუ როგორ უნდა გაკეთდეს რუკა, ან ხარჯი ვინ უნდა იკისროს. ეს ყველაფერი წვრილმანია. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ უაღრესს საჭიროებას ასეთის რუკისას და ვიტყვით, რომ მისი შედგენა ძალიან ადვილია, რადგანაც ჩვენის სამხედრო ოლქის შტაბს მშვენიერი რუკები აქვს ამიერ კავკასიისა და თვით მცირე აზიისაც. რადგანაც ლაზისტანი ტრაპიზონამდე მიდის, საჭიროა ამიტომ ძველი ისტორიული ლაზისტანი სავსებით იყოს მოქცეული რუკაზედ.

ჩვენში ამ ჟამად ბევრნი მოიპოვებიან მცოდნენი, რომელნიც ადვილად მოახერხებენ რუკის შედგენასა და დახატვას. იმედი ვიქონიოთ მაშ, რომ ამ საჭიროსა და საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც ასე დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის გეოგრაფია-ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესასწავლად და ეროვნული გრძნობის განვითარება-განსპეტაკებისათვის, გულით მოეკიდებიან და მალე კიდევაც გაახორციელებენ საქმეს.

არაენ

დაბა და სოფელი

ქიზიყი. თავნება და თავქეიფა ბუნების საოცარი მოვლენაა ქიზიყში: მესამე თვე მიდის, ქიზიყს (რომელიც მთლად დალუპა ზამთარ-გაზაფხულის და ზაფხულის უდიერმა გვალვამ) რიგიანი წვიმა არ უნახავს. ათასში ერთხელ ცა-მოღრუბლული მოშლილი წისქვილივით არახრახდება ხოლმე, ჩამოაგდებს თითო-ოროლა წინწკალსა და ქიზიყელებსაც გვიხარიან: აი, ეხლა-კი ღმერთმა კეთილის თვალით გადმოგვხედა, ცის ნამი გვეღირსება და მიწის-პირად დამწვარ-დახრუკული საძოვარი მაინც გამოცოცხლდება უენო საქონლისათვის და ცოტაოდენი ზიარებაც (ღვინო) მოგვივა ათასში ერთხელ პირჯვრის გამოსასახავადო, მაგრამ ღრუბლები მალევე იქსაქსებიან დაჟინებულ ქარისაგან, იმედი გვიცრუვდება და დიდად დაზარალებული ხალხის საერთო ოხვრა-გმინვა-გოდებას საზღვარი აღარა აქვს.

რადგანაც წელს თამბაქოს მოსავალი ძალიან ნაკლებია ქიზიყში, ამისთვის ფუთს თამბაქოში რვიდამ ათ მანეთამდე ეხლავე აძლევენ ვაჭრები პლანტატორებს. უეჭველია, შემდეგში უფრო მეტფასად გაიყიდება. გვალვისაგან დაწვრილფოთოლებული თამბაქო რიგიანად გაშრა დარიანობაში და კარგსფერზედ გამშრალი წვრილ-ფოთოლა თამბაქო ერთი სამად მეტია ღირსებით ნოტიო ამინდში რის ვაი-ვაგლახით გამშრალ პტყელ-ფოთოლა თამბაქოსთან შედარებით.

ნოამე

დ. ჭიათურა. ჭიათურა ისევ გამოფხიზლებას აპირებს. მოსალოდნელია მალე ისევ ისე განახლდეს მოძრაობა და შავი-ქვის გადაზიდვას შუდგებენ, რადგანაც ბერლინის სინდიკატის წარმომადგენელი არონ გირშთან ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია. წარსულს კვირას ჭიათურას ქუთაისის სახალხო წარმოდგენების სცენის-მოყვარენი ეწვივნენ, რომელთაც ქ-ნი ე. ნიკოლაძის მეთაურობით ორი წარმოდგენა გამართეს, 4-ს და 5 აგვისტოს.

უცხოეთი

ჩინეთი. ევროპის წარმომადგენლებმა აცნობეს ჩინეთის იმპერატორს უცხოთა ჯარების გაყვანა ჩინეთიდგან და დარაჯთა რიცხვის შემცირება. იმპერატორმა დეპეშითვე აუწყა ევროპის წარმომადგენელთ, რომ პეკინში კიდევ ბევრი უცხოეთის ჯარის კაცი დარჩა და ამის გამო, მიუხედავად თავისის დაპირებისა, იმპერატორის სახლეულობა პეკინში კი არა, კაიფეტ-ფუში წაბრძანდება, სადაც 20 ნოემბერს ქვრივ იმპერატრიცის დაბადების დღეს იდღესასწაულებენ. იმპერატორის სახლეულობა წრეულს პეკინში სულ არ დაბრუნდებაო. ამბობენ, იმპერატორის სახლეულობა მიტომ აჯიანებს პეკინში დაბრუნებას, რომ არ უნდა მალე გადასწყვიტოს მანჯურიისა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულობის საქმე; ხოლო მანჯურიის კონვენცია დაუყონებლივ წარედგინება ხელმოსაწერად.

ინგლის-ტრანსვაალის ომი. ინგლისის სამხედრო სამინისტროს ლორდ კიტჩენერისაგან დეპეშა მოსვლია, რომელშიაც სწერია, რომ ბურების მთავარ-სარდალი გენერალი ლუი ბოტა 4000 კაცითურთ გარშემორტყმულია ინგლისის ძლიერ ჯარითაო.

ინგლისის მთავრობის წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ არა უგვიანეს ერთის თვისა სამხრეთ-აფრიკაში ომი გათავებული იქმნებაო.

— ერთს ფრანგს უნახულნია გაავაში ბურთა წინამძღოლნი და ამბობს, რომ კრიუგერი წინანდებურად იმედოვნებს და სწამს, რომ ბურებს უკეთესი მომავალი დაუდგებათ, მაგრამ სხვანი ძალიან დაფიქრებულნი არიან. ქ-ნ ბოტას მოგზაურობის მიზანი იყო, კრიუგერისათვის ეცნობებინა, რომ ბურების წინამძღოლნი სამხრეთ აფრიკაში უკიდურესად დაიღალნენ ომითა და გადასწყვიტეს, მშვიდობიანობა ვითხოვოთო.

ინგლისი. სოციალიზმს თავის თავისივე იმედი ეკარგვის. ამას წინად პერმა განაცხადა „Sociale Praxis"-ში, რომ თვითონ მუშები, როცა ქარხნისა ან სხვა რაიმე საკუთრების პატრონნი გახდებიან, ყველაზედ უფრო ტყავს აძრობენ თავიანთ მუშებსაო. ეგევე აზრი წარმოსთქვა ინგლისის სოციალისტურ პარტიის ერთ-ერთ დამაარსებელთაგანმა ჰენრი-მაიერს ჰაიდმანმა. იგი 30 წელიწადი იყო სოციალ-დემოკრატიულ ფედერაციის წევრად და ახლა წევრობას თავი დაანება იმისათვის, რომ, როგორც ამ პარტიის მდივანს ლის სწერს, ინგლისის მუშებს არ გაეგებათ თავიანთი განსაკუთრებული მდგომარეობა და წოდებრივი წინააღმდეგობა, ურომლისოდ არაფერ ხეირიან რამის გაკეთება არ შეიძლებაო, „მე თვითონ ვეკუთვნი განაღებულსა და მდიდარს კლასსაო, ამბობს ჰაიდმანი, და სწორედ გაკვირვებული ვარ ჩემ თანამემამულეთა უმეცრებით და უგულობით. ჩვენის ქადაგების შედეგმა, რომელსაც ამდენს ხანს სდევნიდნენ, იმედი გამიცრუაო".

[illegible]ირო კულტურა არის დაწყებული: ამერიკულს ვაზზე საუკეთესო ადგილობრივი ვაზებია დამყნილი და გაშენებული და, თუმცა სკოლის ორგანიზაცია სასურველად არ [illegible]რულებულა, მაგრამ ორს გათავებულს კურსს გვარიანი რეზულტატიც მოჰყვა.

[illegible]აბალო სკოლების ისტორია ცხადად ამტკიცებს, რომ თვით რუსეთში 40 წლებიდგან დაწყებული გრაფ [illegible]ილევის, მურავიოვის და შემდეგ სხვა მინისტრების დროს სკოლები კოჭლობდენ და დაცარული იყო როგორც უსაშუალობისა და ინვენტარის სიმცირის გამო, ისე იმ მიზეზით, რომ სასწავლო და სამეურნეო ნაწილის ორგანიზაცია ადგილობრივის აგრიკულტურის მოთხოვნილებას არ შეეფერებოდა. ამ მხრით ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი უკეთესს მდგომარეობაშია. შესაბამად ახლანდელი მისი მდგომარეობისა სასწავლებელს გვარიანი შედეგი მოჰყვა: ამ სასწავლებელში კურს დასრულებულნი სრულიად დახელოვნებულნი გამოდიან თავისს საქმეში.

მართალია, რაღაც ოციოდე დესეტინა მიწა, რომელიც ამ ჟამად მიცემული აქვს სკოლას, არა კმარა მეურნეობისათვის და ბაღახთა საშე[illegible]ლად, როგორც ბ. მეშჩერსკისა [illegible], მაგრამ ამერიკულზე ადგილობრივ ვაზთა მყნა და გავრცელება საუკეთესო ჯიშის ხეხილე[illegible] კულტურისა, რაიცა უმთავრესს და უსაჭიროესს საგანს უნდა შეადგენდეს სასწავლებლისას, ადვილად მოსახერხებელი და მოსათავსებელია ახლანდელის სკოლის მდგომარეობაშიაც.

შემდეგისათვისვე, როცა სკოლის გარემოება გაფართოვდება, როცა მოემატება სამუშაო იარაღები, მუშა და მეწველი საქონელი, ახლანდელი მეურნეობა გაფართოვდება: შეიძლება სიმინდის მწკრივად თესვის საცადი, სარძევე ფერმის დაარსება, ბაღახის თესვა და სხვანი, მაგრამ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ არც ერთი ამ უკანასკნელ მეურნეობის დარგთაგანი არ შეადგენს სკოლის არსებით საგანს.

კომისიამ დაათვალიერა ქვალაბის უბნის სახელწიფო ადგილები, რომლის დათმობასაც, მეშჩერსკის მოხსენებისა-მებრ, მთავრობა უპირებს სკოლას, მაგრამ იგი სრულიად უვარგისი გამოდგა ზემოხსენებული მეურნეობისათვის და კომისიამ საჭიროდ სცნო სხვა სახელმწიფო უბნის ადგილები ეთხოვოს მთავრობას, რათა მეშჩერსკის მიერ აღნიშნული სკოლის ნაკლი გასწორებულ იქმნას.

ამას გარდა, რადგანაც ახლანდელი საშუალება მეურნეობის სხვა-და-სხვა დარგთა უკეთესად გამოწყობისათვის საკმაო არ არის, ხოლო ამასთანავე უსაჭიროესია, რომ ახლანდელი პირობანი სკოლისა გაუმჯობესდეს საპედაგოგო პერსონალის ცხოვრების შემსუბუქებით და ჯამაგირის მომატებით, აგრეთვე სასწავლო მასალის ნაყოფიერებით, კომისიამ საჭიროდ სცნო, სანამ სრულს სმეტას შეადგენდეს, სამეურნეო საზოგადოების განყოფილების კრებაზე გამოირკვიოს, ადგილობრივი პირობების მიხედვით, რომელი კულტურა უპირველესია, რომელი მათგანი მეორე ხარისხისა და, სასწავლებლის უმთავრესის საგნის შესაბამად, განსაზღვრულ იქმნეს ერთის მხრით რაოდენობა აუცილებელის ხარჯისა საზოგადოდ და დაწვრილებითი ანგარიში იმ სახარჯოისა, რაც საჭიროა საქმის გასამართად და რაოდენობა სამუშაო კაპიტალისა პირველ ხანებში მეურნეობის საწარმოებლად, მეორეს მხრით—უნდა მოძებნოს წყარო უსაჭიროესის საშუალებისა.

განზრახული ხარჯი ასე განისაზღვრება: 1, მისამატებელი მოსამსახურეთა ჯამაგირებისა, 2, სკოლის გამგის სადგომის გასაკეთებელი, 3, ღობისა და საოჯახო შენობებისათვის, 4, მუშა საქონლისა და იარაღების შესაძენი, 5, სალობავისათვის, თუ სახაზინო მიწა დაეთმო სკოლას და 6, რიონის პირის გასამაგრებელი.

კომისიამ მიაქცია სამეურნეო საზოგადოების განსაკუთრებითი ყურადღება იმაზე, რომ გამოწყობა ასეთის რთულის საქმისა, როგორიც ხელმძღვანელობაა სამეურნეო სკოლისა, რომელიც თვისის პროგრამით სრულიად განსხვავდება რუსეთში მყოფის სასწავლებლების ტიპისგან, მოითხოვს არა მხოლოდ სამეურნეო მეცნიერების საფუძვლიანს ცოდნას, არამედ ზედმიწევნითს შესწავლას ადგილობრივის მეურნეობისას; ამიტომ, კომისიის აზრით, სკოლის წარმატებისათვის ყველაზე უფრო საჭიროა, სასწავლებელს სათავეში ედგას გამოცდილი საქმის მცოდნე მმართველი, რომელიც შეეფერებოდეს სასწავლებლის მიმართულებას. უამისოდ, რაც უნდა მრავალი მუშა საქონელი, იარაღი და დიდი სამეურნეო კაპიტალი ჰქონდეს, სასწავლებელი სასურველს რეზულტატს მაინც ვერ მოეწევა.

დასასრულ, კომისიამ ახსნა მიზეზი, რომლის გამო სკოლის მოწაფეთა შრომა აქამდის სუსტი და უნაყოფო იყო, რაიცა რევიზორსაც შეუნიშნავს. პირველი მიზეზი ის არის, რომ სასწავლებელი დიდი ხნის დაარსებული არ არის: იგი გაიხსნა 1892 წ. კი არა, როგორც მეშჩერსკის შეუტანია თავის რევიზიაში, არამედ 1894 წელს, და მეორე ისა, რომ საპედაგოგო მასალა მეტად მრავალ ფეროვანი და რთული იყო, სკოლის გამგენი კი პროგრამას შეუფერებლად აწარმოებდნენ.

წარსულს წელს, როცა სამინისტროს ქაღალდი მოვიდა სკოლის წეს-რიგში მოყვანის შესახებ, სამეურნეო-საზოგადოების განყოფილებამ კიდევ აირჩია კომისია, რომელმაც ხელმეორედ შეადგინა ვრცელი პლანი საკლასო და პრაქტიკული მეცადინეობისა, გამოარკვია დაწვრილებითი ანგარიში იმ სახარჯოთა, რაც სასწავლებლის მოსამსახურეთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ინვენტარის შესამატებლად და საოჯახო შენობების ასაგებად იყო საჭირო და რადგანაც საზოგადოების განყოფილებას გაფართოებულის სასწავლებლის შესანახად საკუთარი საშუალება არა ჰქონდა, ქუთაისის გუბერნატორის გარშელმანის შუამავლობით, კავკასიის უმაღლესს მთავრობას სთხოვა, რომ ამ საგნისათვის საჭირო ფული საერო გადასახადისაგან ეწილადებია.

მაგრამ, რადგანაც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო მთავრობამ ვერაფერი საშუალება აღმოუჩინა, თხოვნა მიწად-მოქმედების სამინისტროში იყო მიმართული.

სკოლის ისტორიისა და სამეურნეო საზოგადოების განყოფილების კომისიათა ნამუშევარის გულდადებითი გაცნობის შემდეგ საფიქრებელი იყო, რომ სამინისტრო ქუთაისის განყოფილებას სანდოთ ჩასთვლიდა, ე. ი. დარწმუნდებოდა, რომ მას სამეურნეო სასწავლებლის რიგიანად ხელმძღვანელობა არ გაუჭირდება, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ზევით იყო მოხსენებული, სამინისტრო რაოდენიმე საშუალების მოცემას იმ პირობით თანხმდება, თუ სასწავლებელი პირ-და-პირ მისს განკარგულებაში გადავა.

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროს წინადადების გამო არჩეული კომისია იმ აზრს დაადგება, რომ, თუ ადგილობრივ საზოგადოებას,—თავად-აზნაურობას, გლეხობას და მოქალაქეთ,—აქამომდე არსებული წესით შეეძლება სკოლის ნაყოფით სარგებლობა, მაშინ სამინისტროს წინადადებას უარი არ ეთქმის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სჯობია, სასწავლებელი ისევ მოკლე ფეხზე იდგეს, ვიდრე გაფართოვდეს და ჩვენი სახელით სხვისი სახრავი შეიქნეს.

Amicus.

ამაზედ „Temps“-ი სამართლიანად შენიშნავს, რომ ჰაიდმანის უხერხული მდგომარეობა იმისი ბრალია, რომ „თვითონვე ეკუთვნის განათლებულს და გამდიდრებულს კლასს“ და მოთმინება არა აქვს მოუცადოს სოციალურ ცხოვრების წყნარად და ბუნებრივად განვითარებას. იგი რომ იძულებული ყოფილიყო თვითონ ემუშავნა, გაიგებდა, რომ მუშათა კლასს არა სურს შესწიროს თავისი დღიური შრომის ნაყოფი საეჭვო ცდას სოციალურ წეს-წყობილების ძირიანად შეცვლისას.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამას წინად კონსტანტინეპოლში ოსმალეთის დიდ ვეზირს ბრძანება გაუცია, რომლითაც მაჰმადიანთა ოჯახებს აღკრძალული აქვთ ევროპიელ ქალის აყვანა მასწავლებლად, გუვერნანტკად ან სხვა რამ საქმისათვის. ბრძანებაში ნათქვამია, რომ ევროპიელ ქალის აყვანას ცუდი გავლენა აქვს მაჰმადიანთა სარწმუნოებაზედაო. აშკარაა, ოსმალეთის მთავრობას უნდა ევროპიელ ქალებს სრულიად აუკრძალოს ჰარამხანებში შესვლა და იქ ქალებს შორის ლიბერალურ აზრების გავრცელება. ამბობენ, ეს ბრძანება მაშინ გამოსცა დიდმა ვეზირმა, როდესაც გამოირკვა, რომ ილდიზ-კიოსკში სულთანის საწოლ ოთახის გვერდით მდებარე ოთახს ცეცხლი წაუკიდა ჰარამხანის ერთმა მონა ქალმა, ავსტრიელმა. ამასთან ერთად ოსმალელ მანდილოსნებს აღეკრძალად ეგრედ წოდებულ „წყნარ წყლების“ არხში ნავებით ცურაობა. საზოგადოდ ძალიან უფრთხილდებიან ოსმალეთში ქალებს, რომ როგორმე მათ შორის ლიბერალური აზრები არ გავრცელდესო, სწერს ერთი ახალგაზდა ოსმალთა გაზეთი.

⁂

ამერიკაში ბევრს ლაპარაკობენ თურმე ამ ჟამად ახალგაზდა ქალის მერი სმიტის შესახებ. ეს ქალი პეკინში იყო იმ დროს, როდესაც ჩინელებმა ალყა შემოარტყეს საელჩოებს და იქ მყოფთა ამოჟლეტა მოინდომეს. სმიტი ამას წინად დაბრუნებულა პეკინიდგან ამერიკაში, აუწერია ყოველივე იქ ნანახი და ხელთნაწერი გამომცემელისათვის მიუყიდნია 20,000 მანეთად. მერი სმიტი მეტად ლამაზი, მოხერხებული და ნიჭიერი ქალია თურმე. შარშან ერთ მდიდარს, სმიტების კარგ ნაცნობს, ოჯახში ვიღაცას ძვირფასი ბრილიანტები მოუპარავს. მალე ხმა გაავრცელეს, რომ ამ ბრილიანტების ქურდი ახალგაზდა მერი სმიტიაო. ეს ხმა მთელ ვაშინგტონს მოედო. სადაც სმიტების ოჯახი სცხოვრობდა. ქალს ისე ეწყინა ეს ჭორი, რომ გადასწყვიტა სამშობლოდგან სადმე შორს გადახვეწა და უკან აღარ დაბრუნება. თქმა და ასრულება ერთი იყო თურმე: ქალი პეკინში წასულა ერთ თავის ნათესავთან, საელჩოს წევრთან. არ გასულა ბევრი ხანი, რომ ჩინეთ-ევროპიის ამბავიც ატყდა. ქალმა ამ დროს სხვებთან ერთად პეკინში ბევრი შავი დღე ჰნახა, ბევრი ტანჯვა-წვალება გამოიარა. დაწვრილებით აქვს თურმე წიგნში ყოველივე ეს აწერილი. ამავე დროს ვაშინგტონში უპოვნიათ ბრილიანტების ნამდვილი ქურდი, ამიტომ იქაური მაღალი საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა უდანაშაულოდ გაკიცხულ მერი სმიტის დაბრუნებას. ეხლა ვაშინგტონში ყველანი დიდის პატივისცემით ექცევიან ამ ახალგაზდა ქალს.

გამოსადეგი ცოდნა.

წყალ-გაუვალი ქსოვილი.

აი, უბრალო საშუალება, თუ გსურთ ქსოვილი სრულიად წყალგაუვალი გახადოთ: უნდა აიღოთ 1 გირ. და 21 მისხალი შაბი და ასე 25 ბოთლს წყალში გახსნათ; შემდეგ ამოდენივე ტყვიის ძმარ-მჟავე ჟანგი (уксусно-кислая окись свинца) გახსნათ წაყლში (იმდენივე წყალი აიღეთ, რამდენიც შაბისთვის იყო) და ორივე გახსნილი სითხე ერთმანეთს შეურიოთ. ჭურჭლის ძირში დაილექს გოგირდ-მჟავე ტყვია (сѣрнокислый свинецъ); ამის შემდეგ წმინდა სითხე სხვა ჭურჭელში უნდა გადაასხათ, შიგ ქსოვილი ჩასდოთ და კარგათ დასრისოთ, სანამდის წყლიდგან ჰაეროვანი ბუშტები ამოდენა არ შესწყდება. ოთხი-ხუთი საათის შემდეგ დალბობილს ქსოვილს ამოიღებთ, სუბუქად გასწურავთ და ჰაერზედ გაჰფენთ გასაშრობად. რომ გაშრება ქსოვილი, მთლად წყალგაუვალი იქმნება.

დეპეშა

8 ავგისტო.

პეტერბურგი. 7 ავგისტოს დაბრუნდნენ ნარვადგან პეტერგოფში დიდი ალლუმებიდგან ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, საბერძნეთის მეფის ძე ანდრია, დიდი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე მეუღლითა და ასულითურთ, გიორგი მიხეილის ძე მეუღლითიურთ და სერგეი მიხეილის ძე და მისი უმაღლესობა პრინცესსა ვიქტორია, გერცოგინა ბატტენბერგისა და ჰესენისა მეუღლითურთ.

კავკასიის გრენადერთა დივიზიის უფროსი გენერალ-მაიორი დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე გენერალ-ლეიტენანტის ხარისხით იქმნა დამტკიცებული იმავე თანამდებობაზედ. თურქესტანის 2 სამხედრო კორპუსის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ხოლშევნიკოვი ამურის მხარის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსათ იქმნა დანიშნული. რადგანაც უმთავრეს შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სახაროვი დროებით დათხოვნილია, მისი თანამდებობის შესრულება თანაშემწეს გენერალ-ლეიტენანტს უსსაკოვსკის მიენდო. საზღვარ დარაჯის ცალკე კორპუსის უფროსს გენერალს სვინინსა და მეათე სამხედრო კორპუსის უფროსს გენერალს ვინბერგს ალექსანდრე ნეველის ორდენის ბრილიანტის ნიშნები ებოძათ. 18 სამხედრო კორპუსის უფროსს გენერალს ადამოვიჩს, სამხედრო საბჭოს წევრს გენერალს ნოვიცკისა და უმთავრეს სამხედრო სასამართლოს მუდმივს წევრს გენერალს უშაკოვს ალექსანდრე ნეველის ორდენები ებოძათ.

ბერლინი. პრუსსიის ნათესები ივლისში ცოტა გამოკეთდა.

გუმბინენი. როტმისტრის კროზიგკას მკვლელობის საქმის მეორეთ გარჩევის დროს უნტერ-ოფიცერს მარტენს სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტეს, ხოლო უნტერ-ოფიცერი გიკკელი გამართლებული იქმნა.

პრეტორია. ბრონკგარსპრუიტთან 5 ავგისტოს ბურების ბანაკზედ თავდასხმის შესახებ იტყობინებიან კიდევ, რომ ინგლისელებს ბევრი ბური წაუყვანიათ ტყვეთ, მაგრამ ტყვეები ბურებს უკანვე დაუბრუნებიათ, რადგანაც ძლიერი რაზმი გამოჰკიდებია ინგლისელებსა.

ლონდონი. კომისსიამ, რომელსაც მინდობილი აქვს გაარჩიოს საჩივრები სამხრეთ-აფრიკიდგან გამოდევნილ უცხოელთა, განიხილა, სხვათა შორის, საჩივარი რამდენისამე რუსეთის ქვეშევრდომისაც, რომელნიც რობერტსის წინააღმდეგ შეთქმულობისა გამო გამოუდევნიათ. კომისსის პრეზიდენტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ყველა მომჩივარს, რომელიც-კი კონსულის მიერ შემოწმებულს ქაღალდს არ წარმოადგენს, დიდის ეჭვით შეჰხედვენ.

კონსტანტინეპოლი. ზღვის პირის სანავოსნო მოწყობილობათა საზოგადოებათა შესახებ არსებულს თანხმობაზედ, რომელიც უკვე მიღებული იყო, სულთანი უარს აცხადებს. საფრანგეთის ელჩი ამ საგნის შესახებ დაუყოვნებლივ ბრძანების გამოცემასა თხოულობს, წინააღმდეგს შემთხვევაში ოსმალეთიდგან წავალო. როგორცა ჰფიქრობენ, მშვიდობიანად როგორმე მორიგდებიან.

პეტერბურგი. 7 ავგისტოს, მათნი უდიდებულესობანი და მათნი უმაღლესობანი პრეობრაჟენსკი რაზმის და ლ. გვარ. საარტილერიო ბრიგადის სამი ბატარეის საეკკლესიო დღესასწაულობაზედ დასწრების შემდეგ დილით იამბურგიდგან დიდის ალლუმების სანახავად მიბრძანდნენ ნარვის მახლობლად. მათის უდიდებულესობის თვალ-წინ გასდეს ხიდი ნარვაზედ, რომელზედაც განვლეს იმპერატორმა და შემდეგ თვითონ ჯარებმაც თავიანთის სამზადისითა და იარაღით. იმავე დღეს საუზმის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი რკინის გზით პეტერგოფში მიბრძანდნენ.

8 ავგისტოს, გატჩინოდგან პეტერბურგში მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული დ უავგუსტოესი ძმა მათი პრინცი დანიისა ვალდემარი.

8 ავგისტოს პრინცესსა მარიამ მაქსიმილიანეს ასული ბადენისა საზღვარ გარეთ წავიდა.

ვაშინგტონი. გეი ხვალ მიდის. რომ კოლუმბიის მდგომარეობის შესახებ მაკ-კინლეისთან ერთად მოილაპარაკონ. შეერთებული შტატები იმაზედ მეტს არას მოიქმედებენ, რასაც 1846 წლის ხელშეკრულობით მათი ინტერესებისა და ვალდებულებათა დაცვა მოითხოვს; უჩვენებენ იმასაც, რომ სამხრეთ-ამერიკის მცხოვრებთა უმეტესობა ამ შემთხვევაში შეერთებულის შტატების მხრივ არავითარს დაფარულს აზრს არ ჰხედავს.

კალიში. ხანგრძლივის გვალვისა და სიცხის შემდეგ დიდი წვიმაქუხილი იყო; მახლობელი მამულები დიდად აზარალა. დღეს ძლიერ აცივდა, წვიმა და თოვლი მოვიდა.

კამენკა. დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე 8 ავგისტოს დილით ჩამოვიდა ალლუმებზედ დასასწრებლად.

პენზა. ცეცხლისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად კომიტეტი სდგება. 12-ჯერ გაჩენილს ცეცხლს 338 სახლი უმსხვერპლნია, სულ $2^1/_2$ მილიონის ღირებულობისა. სხვათა შორის დაიწვნენ: სატეხნიკო სასწავლებელი, სამი სამრევლო სკოლა, უშინსკის სახლზედ არსებული წიგნთ-საცავი, ერობის საპატიმრო სახლი, ფრანგების კასტოლი, ქალაქის მოსამართლის კამერა, სამი პოლიციის ნაწილი, ცეცხლის მქრობელთა მესამე ნაწილი, ინსარის ბატალიონის ყაზარმა, სახალხო სასადილო დ სამი მაგარი სასმელების სახელმწიფო დუქანი.

ეკატერინოსლავი. გაკოტრებულ საკომერციო ბანკის გამგეობის დაპატიმრებულნი წევრნი კურგლინი და ბრაზოლი თავდებობით იქმნენ განთავისუფლებულნი. თვითოს 350,000 მან. მოსთხოვეს. მესამე წევრი გამგეობისა მაკაროვი დღემდის ჯერ ვერ უპოვიათ.

9 ავგისტო.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით გაზ. „Амурскій Край“-ს №№-ების ცალკე გასყიდვა სამის თვით აღკრძალულია.

დიდის მთავრის მეუღლის ქსენია ალექსანდრის ასულისა და მაღალ ახლადშობილის მთავრის დიმიტრი ალექსანდრეს ძის ჯანმრთელობა ყოველმხრივ კარგად არის.

ტამბოვი. უზომო გვალვებია.

ომსკი. ომსკის მახლობლად საქონელს მატარებლები დაეჯახნენ ერთმანერთსა და ოთხი ვაგონი მთლად დაილეწა; ორთქლ-მავალი ლიანდაგიდგან გადავარდა.

ლონდონი. „ტაიმს“-ში გამოქვეყნებულია ოქმი. რომელიც ჩინეთის რწმუნებულთ გადაეცათ. 1, 2, 3 და 4 მუხლში მოხსენებულია, თუ მოხელეთაგანი ვინ როგორ იქმნა დასჯილი; მე-5 მუხლი შეიცავს ბრძანებას, რომლითაც ორის წლის განმავლობაში გარედგან იარაღისა და საომარ სამზადისის შეტანა აღკრძალულია; 6 მუხლში მოხსენებულია, რომ 16 მაისის ბრძანებით ჩინეთმა თანხმობა განაცხადა $4^0/_0$ სარგებლით 450 მილიონი ტელი სამხედრო საზღაური გარდაიხადოს 39 წლის განმავლობაში; საზღაურის უზრუნველ-საყოფლად $5^0/_0$ საბაჟო გარდასახადების მოჭარბებული შემოსავალი მიეცემათ, რომელიც დღეს საბაჟო გარდასახდისაგან თავისუფალს საქონელს მორჩება, გარდა ბრინჯისა, უცხოეთის პურებისა, ფქვილისა, მოჭრილისა და მოუჭრელ ოქრო-ვერცხლისა; უზრუნველ საყოფლადვე მიეცემათ ადგილობრივი საბაჟო გარდასახადები, რომლებიც ლია ნავთ-სადგურებში საიმპერატორო საბაჟოების ხელში იქმნება და მრთელის გარდასახადისგან შემოსული ფული, რომელიც ამ ჟამად თავისუფალია. მომატებულ საბაჟო გარდასახადების აღებას ორის თვის შემდეგ შეუდგებიან იმ დღიდგან, რა დღესაც ხელს მოაწერენ განაჩენაზე; მე-7 მუხლში ნაჩვენებია საელჩოების უბანს რამოდენი ადგილი უნდა ეჭიროს და რამდენი მუდმივი დარაჯი უნდა ჰყვანდეთ; მე-8 მუხლში ჩინეთი თანხმობას აცხადებს, რომ ტაკუსი და სხვა სამაგრები [illegible] ციოს; მე-9 მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფოთ ნება ეძლევა თავისუფალ მიმოსვლისათვის პეკინსა და ზღვას შუა რამდენიმე ადგილი დაიჭირონ; მე-10 მუხლში ჩინეთი თანახმობას აცხადებს, რომ ორის წლის განმავლობაში ხალხის საყურადღებოდ ბრძანებები იქმნება გამოკიდული: რომ უცხოელთა წინააღმდეგ მონაწილეობის მიმდები სიკდილით იქმნება დასჯილი, რომ გამოცდა აკრძალულია და მეფის მოადგილენი და გუბერნატორები მოვალენი არიან წესიერების არ დამცველნი მოხელენი დაითხოვონ და სამსახურში აღარ მიიღონ. ეს ბრძანებები უკვე გაკრულა; მე-11 მუხლში ნათქვამია, რომ ჩინეთი მზად არის სავაჭრო ხელთშეკრულობის შეცვლის განხილვას შეუდგეს და 12 მუხლი კიდევ აცხადებს, რომ ცრუნგლი იმენის-მაგიერად ამიერიგან გარეშე საქმეთა სამინისტრო იქმნება დაწესებული და წესი უცხოელ ელჩების მიღებისა სასახლეში შეცვლილ იქმნება.

ლონდონი. კამისიას, რომელიც სამხრეთ აფრიკიგან განდევნილ უცხოელთა ზარალის საჩივრებს განაგებს, რუსეთის მომჩივართა წარმომადგენელმა გოლდბერგმა რამდენიმე ახალი საჩივარი კიდევ წარადგინა და განაცხადა რომ სულ ერთია მისთვის დაზარალებულნი დაკმაყოფილებულნი იქმნებიან ნივთიერად თუ არა; აქ საყურადღებო ის არის, რომ დამოუკიდებელ ერთა საურთიერთო დამოკიდებულებათა უფლება იქმნა დარღვეული და მისი კლიენტები რუსეთის ქვეშევრდომთაგან რაღაც გავითა და ოცნებით შეთხზულ შეთქმულობისა გამო რობერტის წინააღმდეგ, ყველანი დაპატიმრებულნი თურმე იქმნენ და ერთი წლის შემდეგ დღემდის კიდევ არ არის-რა გამორკვეული, მართლა იყო რამ შეთქმულობა, თუ არა და რამდენად სასტიკად და უსამართლოდ მოექცა მათ ინგლისი.

პეკინი. სატახტო ქალაქის მახლობლად ორის კვირის წინად „ლლოიდის“ გამეს ყაჩაღები და ხნენ თავს და მოჰკლეს. დამნაშავეთ დაეძებენ.

ბრეტი. ამბობენ, გუშინ სა მოთი ნავით მოცურავეთ ნავი გ დაუბრუნდათ და 15 კაცი დაიხ ჩოო.

განცხადება

წყალ-წმინდის ძმობა

ამ ავგისტოს თვიდგან იყვანს შეგი დებს. ობლებსა და ღარიბებს უფ სოდ მიიღებს, ხოლო შეძლებულ გამოერთმევათ წელიწადში ო მოც მანეთამდე. ყოველივე ხარ ძმობისა იქნება. ბავშვი თერთმეტ წლისაზე ნაკლები არ უნდა იყო უმთავრესად მეურნეობას ასწავლი ასწავლიან აგრეთვე გალობას ნოტებით. მსურველებმა უნდა მართონ ამავე ძმობის მმართველ სიმონ ქორიძეს სუფსა-ნატანებ რკინის გზის სადგურის მახლობლ

3—1.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.